ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №84332

ნომერი: AR129255

თარიღი : 10.03.2012

გაცემის თარიღი : 19.03.2012

გაცნობის თარიღი : 04.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ყავლაშვილი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: არტსტუდიო პროექტი
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი სახლი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204489393

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისი რაიონში, გრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლეე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული ესკიზური პროექტის წინასწარ შეთანხმებას. განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N11, 13.03.12წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.
იმისათვის, რომ სამსახურმა შეითანხმოს არქიტექტურული პროექტი და გასცეს მშენებლობის ნებართვა, საჭიროა სამსახურში დარეგისტრირებული იქნეს შესაბამისი განაცხადი ატვირული სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციით.

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.